# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 548

დამატების № 98

კვირა, 10 აპრილი 1916 წ.



ემმაუსისკენ.

## ობლად იჯექი აივანზე...

ობლად იჯექი აივანზე, გეჭირა თარი,
ბროლის თითებით აკვნესებდი სხივის სიმებსა;
ოცნებაშია გეწვევოდა ტრფობის სიზმარი,
ჰანგსა მღეროდი, ჰანგს ყრუდ გულში ნაქვეთინებსა...

* * *

მღეროდი წყნარა, მწვავე ოხვრის გაცალლოლებით,
ტრფობით დამწვარი სულის ჩივილს, ცრემლში ბანასა;
მღეროდი წყევას სიცოცხლისას უსაზღვრო ვნებით—
შავად დაღუპულ სიყვარულის სულთათანასა...

* * *

გზარავდა ქალწულს შენი ბედის უდროვო ღამე,
მიაგდე თარი... ვერ მოჰკალ ვნება მტანჯავი;
სისხლად დაცლილი გულის ჭირი ვერ დაიამე,
ატირდი მწარედ... ცხარე ცრემლით მოიკალ თავი...

კიკნა-ფშაველი.

2804

## ტფილისი



სიონის ტაძარი.

## გასეირნება

დღეს თავისუფლად გავიარე. ტყვექმნილი სული,
ვით შავი ტყიდან ოქროს ეტლით მზე ამოსული,
ცას და ქვეყანას შესცინოდა შესტრფიალობდა.
ნელა გავყევი მდინარის პირს, გაველი ველად,
და ჩემი მშვიდი თვალთახედვა ისე, ვით ძველად,
მტრედისფერ ცაზე უდარდელად ხეტიალობდა.

აჰ, რა რიგ მიყვარს მარტოდ-მარტო მე სიარული!
ვიდოდი ჩემთვის გულზვიადი და ხხიარული,
ფერად ოცნებით სად არ წაველ, სად არ გავფრინდი!
მზე ჩადიოდა და სალამო ახლოვდებოდა,
მე კი რაღაცა შორეული მაგონდებოდა...
როგორღაც მძიმედ იშლებოდა სალამოს ბინდი.

და მისცურავდა მოგონების გძელი გრეხილი...
ვით ხე მაღალი ქარიშხალით გადატეხილი.
ჩამოწვა სულში შხამიანი ნაღველი მწარე...
შევჩერდი... სიო შეკრულ შუბლზე ნამს მაპკურებდა,
ცა მოჭედილი ვარსკვლავებით თავს დამყურებდა
და ვერცხლის ლამაზ სამოსელში მახვევდა მთვარე...

კ. ჭიჭინაძე.

## ტფილისი



ქაშვეთის ტაძარი.

## შემოდგომის მზევ!

შემოდგომის მზევ! მზევ ფიქრთ სავანე!
მზევ ჩემებრ მკრთალო, შუბლ დაღარულო!
რა უყავ ყველა, რაც მომიტანე
გაზაფხულის ჟამს სასიხარულო?
რა ჰქენ, რაიცა გულსა მწვავს ისევ,
რამაც მშვიდობა მთლად შეიწირა?..
მითხარი რამე, შემოდგომის მზევ,
იმ გაზაფხულის არა იცი-რა?!

—

მახსოვს: ერთხელ ჩემს ყმაწვილობაში
მკერდს მიუპყრობდი ტალღათა ცივ მთებს,
ბადეს ვისროდი მრისხანე ზღვაში
და უცნაურებს ვიჭერდი ნივთებს:—
ზოგი ბრწყინავდა, ვით გამარჯვება,
ზოგი აფრქვევდა ღიმილს ტრფობისას;
ზოგი მზეს ჰგვანდა,—დილით რო დგება—
და ზოგიც ფოთოლს შემოდგომისას.
მე ის ნივთები სალამო ჟამსა
სატრფოს მივართვი თავმოჭწონედა,
მან კი ასწია წყრომით წარბწამსა—
არც კი დაჰხედა ჩემს ნაძღვნევს ზედა.
მაშინ იმ ნივთებს დავავლე ხელი,
შორს გადავფანტე სიშმაგისაგან
და, როს ღამისა განიბნა ბნელი,
სხვებმა მოკრიფეს, წაიღეს სხვაგან...

## ტფილისი



მთაწმინდა.

მეც იმ სხვებს გავყე ნივთებთან თანა
და ეხლა, ყოველ გათენების ჟამს,
მიწა რო შუბლზე ნისლს გადაისვამს
და აიშლება ხოლმე ქვეყანა—
ვამბობ: ისიც თუ წვით დაიღალა?
ისიც თუ დაძრწის ჩემსავით ობლად?
ან თუ ბუნება გამოიცვალა
და იღიმება სხვის მახარობლად?
ან თუ ჩემ გამო მწყრალია ისევ?
ან თუ მოკვდა და მთლად გაიწირა?—
მითხარი რამე, შემოდგომის მზევ,
მითხარი რამე, არა იცი-რა?!

—

სადაც კი წავალ, თავს ვიმარტოვებ
და გული ჩემი სატრფოსვე ილტვის...
სხვაში მისებრსა ვერსადა ვპოვებ,
მე კი როდი ვარ შობილი სხვისთვის!
უნდოდათ, ჩემში მზე აღედგინათ,
მეღიმებოდა მრავალი თვალი,
და ეხლაც უნდათ, გადმომცენ ლხინად
თავიანთ გულის შემონათვალი, —
მე კია ვტირი ისევ და ისევ,
ვტირი, რაც ერთხელ მთლად გაიწირა——
ეჰ, ნეტავი შენ, შემოდგომის მზევ:
შენ ჩუნჯი ხარ და არა იცი-რა!

მოსკოვი. ი. მჭედლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

I

ცეცხლით ცეცხლით გაელვარდა ჩემი ქვეყნის ტურფა მთები,
სხივთა წვიმით გადიბანა ივერიის მწვერვალები,
მწუხარ ღიმით გადმომდგარან მხიბლავ მამათ აკლდამები,
მწვანე ხავსით შეფოთლილა სასაფლაოს უხმო ქვები.

* * *

მშობელ ქვეყნის ნანგრევები ცრემლთა გუბეს დაუფარავს,
აღარ ისმის ძმათა ხმები, კვლავ ფრანგული აღარ ელავს,
და ეს ციხე დროთა ბრუნვის შავ ფიქრებად რომ დამდგარა,
უტყვი არის ვით სამარე, არას გვამცნობს კვლავ ჰაღარა.

* * *

—მაშ, სად გაჰქრა ქართვლის ბედი, რამ დაჰბურა ეს შვების ცა,
რატომ კვნესის ჩემი ხალხი, ოქროს ვერძი ვინ მოსტაცა?!
სიჩუმეა... და ეს კვნესა მიორკეკეზს სევდას მწარეს,
ნუ თუ მარად ვერ ვიხილავ საქართველოს მზეს ელვარეს?..

II

მოსწყდა სხივი მზეთა ნაპრალს ერის გულში განაღვივი,
მხიბლავ ზღაპრად გადმოდი, ანდა მომავალის შვების მძივი.
მშობელ ქვეყნის მთრთოლავ მკერდზე კვლავ მტრის ტყვიამ გადიცურა,
კვლავად რისხვა, ბრძოლის ხმები და სამარის მწუხრად ბგერა,
ამირანის ბორკილთ ჟღერა, კავკასიის მთის გრიხილი
ბრძოლის ცეცხლში გაეხვია, ბრძოლის გრდემლზე გაიჭედა,—
ზღვა აზვირთდა და ტალღები მთრთოლავ მკერდზე შემოსტყორცნა.
მთის შიკრიკმა, ცელქმა სიომ ტყვეთა უფსკრულს გადუჩბინა!

* * *

—საქართველოს განთიადო,—რა რიგ გელის ჩემი ხალხი,
გაელვარდი, ბრძოლის ბუჩქო, დღის ფერია იცეკვავებს;—
—ქართვლის დედავ, შეავედრე შენი პირმშოს გამარჯვება,
ზე აღსდექი, ძლევის დროშით წინ გაუძეხ შენს ლომ-გმირებს.
მოიგონე დრო თამარის, ოქროს ხანა, დღე დიადი,
და პატარა კახი ვეფხვი, ხმალი მას ბასრ-ფხიანი,
ბევრი ახსოვს საქართველოს შავთა დღეთა მწარე ბედი,
არ შემკრთალა მტრის წინაშე, იყო მარად ძლე ხმიანი.

* * *

აღსდეგ გმირო, და შეისხი მამა-პაპათ ეგ აბჯარი,
მშობელ დედის გულისაგან ამოსწოვე ბრძოლის ცეცხლი,
მთებს, ცელქ ჩანჩქერს გამოსთხოვე მარგალიტის ბასრი ხმალი,
და შენ ქვეყნის ჩირქის მომცხებს მკერდში ჩაეც ის მახვილი.

* * *

—გაიღვიძე, ატიკტიკდი ჩვილო, ნორჩო საქართველო,
დაკიდგება გაზაფხული შვებით სავსე ბრძოლის ველო;—
გაუმარჯოს, კეკლუც კოლხეთს, მონარნარე ზღაპრულ მხარეს,
დღის სალამი მთათა მწვერვალს, თავდადებულთ გმირთ სამარეს!..

ს. ტაიფუნი.

# ქრისტე აღსდგა!..

შუა ღამეა. დიდი, პატარა, ლამაზად გამოწკეპილი, სალტანიოდ ეკლესიისკენ მიეშურება. გაზაფხულის ღამის ზეიმი გაუჩაღებია და მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავი ხომლ-ხომლად ანთებულა. ბუნება მიყუჩებულა... ჟამ და ჟამ ისევ მოუსვენარი სიო თუ წამოეპარება ფოთლებს, შეახტუნებს, შეარხევს და ისინიც ფიქრიდან გამორკვეულნი, ჩურჩულით გადასცემენ ერთი მეორეს მოახლოვებულ ჟამის იდუმალებას...

ნაუუუ!.. ნაუუუ!.. ნაუუუ!.. აგრძელებენ დიდი ზარები.

ნაუ! ნაუ! ნაუ! მოსძახიან მომცრონი და იმედისა და შვების ხმას შორს განაბნევენ ჰაერში, იქვე, ახლოს, ციხის პატარა, ბნელ საკანში ხმელ სარეცელზე წამოწოლილა ვანო ნაღვლიანიძე და თივის საბურმალზე მიუდვია თავი. სევდა დაკრული, ჩაშოყვითლებული, გამხდარი თავ-დავიწყებას მისცემია და ოცნების ფრთებით წარსულში გადაფრენილა. რა კარგი იყო, ბედნიერი, ყრმობის ხანა, თუმც სიღარიბის, გაჭირვების კანვაზე, მაინც უზრუნველობის, იმედის ძაფით ამოქსოვილი!

რა ტკბილი, საამო ის ჟამი, როცა ისიც აი იმ პატარა გოგობიჭუნიებსავით, ეხლა რომ მშობელ-ნათესავების წინ ხელი-ხელ ჩაკიდული მიხტიან ეკლესიისკენ და მათი ჟღურტული მხიარული ნაკადივით შემორაკრაკებს ბნელ საკანის პაწია სარკმელში, წითელი კვერცხით უბეში და კაპეიკიანი სანთლით ხელში დაძმასთან მიეშურებოდა ხოლმე ლიტანიაზე!.. დედა როდი მისდევდა ეკლესიაში მათ. ორი უფროსი შვილი სიკვდილს მოეტაცა და როდილა სურდა ნათელისა და სიხარულის ტალღებს აჰყოლოდა, როცა ისინი მიწაში ეგულებოდა... როგორის სასოებით მოიდრიკდა პატარა სიდონია მუხლს ღვთის მშობლის წინაშე, ხელებს გულზე გადიჯვარედინებდა, თვალს მაღლა აღაპყრობდა და ღმობიერად შესთხოვდა: დედა, ძმა, და, ნათესავები, მეზობლიანთ ნინო, იმას რომ კიბა უყიდა, მრავალჯერ, დაესწრონ აღდგომას... ვანო კი უზრუნველი გაერეოდა ბიჭებში და ხარბის თვალით უმზერდა, როგორ თამამად უჯახუნებდნენ წითელ კვერცხებს. იმასაც სურდა შებმოდა ვისმე, დაეკრა, მაგრამ ეშინოდა არ გაეტეხათ. ერთად ერთი კვერცხი მიეცა დედას და ეხლა უბეში მაგრად უჭერდა ხელს, თითქოს ეშინოდა სხვის დაკვრით იმისი კვერცხი არ გაეტეხათ...

რა სიხარულით წაცუნცულდებოდნენ ხოლმე ისინი შინისკენ ლიტანიის შემდეგ, შეაღებდნენ ბნელ, ჩამტვრეულ ოთახის კარს და ტაშის კვრით, თვალში სიამის წყალ ჩამდგარი ახარებდნენ დედიკოს „ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგაო! და კისერზე ჩამოეკიდებოდნენ!..

ასე იყო შვიდჯერ, ათჯერ, თორმეტჯერ...

ცხოვრებამ ვანოს მერმე სხვა სახე უჩვენა. და-ძმა გარდაიცვალა... დედა დაავადმყოფდა... ოჯახი ვანოს ამარა დარჩა. ცხოვრების სინამდვილემ ადრე შეაჩვია ფიქრს, ზრუნვასა. ადრე შეიგნო ვანომ, რომ გაჭირვების წინააღმდეგ მკვეთრი იარაღი იყო საჭირო და ცხოვრებასაც მომზადებული უნდა დახვედროდა. ბეჯითად შეასრულა სასულიერო სასწავლებლის კურსი და სასულიერო სემინარიაში მოექცა, ჩაება პატარა წრეებში, გაკვეთილებ გარეშე რომ იკაფავდა გზას და წიგნების კითხვით ემზადებოდა... მერმე ერთ წრეს დაუახლოვდა სასწავლებლის გარედ... ერთვნული ალაში აეფრიალებინათ, შემოეკრიბათ გარშემო მდაბიო ხალხი და სოციალურ და პოლიტიკურ უკულმართობას შებმოდნენ. ვანოს მგრძნობიარე, ნაზი გულიც მოუსვენარ ტალღად შეუერთდა თანამემამულეთა უკმაყოფილების ზღვას... წინ მიდის საქმე... გარეგნულად სუსტად სჩანს, მაგრამ ვანო უკვე გრძნობს იმ მზის ცხოველ ძალას... პირადი საქმეც კარგად მოეწყო. ვანო გონებრივად საკმაოდ მომწიფებულია, დედაც შვილის იმედით გამობრუნდა... ვანო უკანასკნელ კლასშია და რამდენიმე თვის შემდეგ ცხოვრებამ თავისუფალ მოზიარედ უნდა შეიქმნეს... წარმოიდგინეთ მშვიდი, გულდაშოშმინებული, თვალ-უწვდენი ზღვა და მის ნაზად მოლივლივე ტალღებში ხომალდი ყელ-მოღერებული... კაშკაშა მზის და მშვიდ ბუნების იმედი აქვს, რომ მალე, სულ მალე, უშიშრად მიაღწევს შორეულ ნავთსაყუდელს... მაგრამ მზე ღრუბელთ რკალში მოექცევა, ცა შუბლს შეიკრავს, განრისხდება ბუნება, დაიკვნესებს გრიგალი და ზღვის სიმშვიდით აღშფოთებული მის შმაგად ეკვეთება... აბობოქრდება ზღვაც, ტალღა, ტალღას გადასცემს მზის დატყვევების ამბავს და გახელებული ხომალდს მაღლა შეაჭენებს.. აირევა გზა. და ბინდ-მოცული არე ჯოჯოხეთს დაემსგავსება... ვინ უწყს, ჰგიებს კიდევ ის ხომალდი სანატრელ ნავთ-საყუდელს?!..

ასე იყო ვანოც... დამშვიდებული, სასოიანი მიისწრაფოდა ცხოვრების ზღვაზე და შორეული, უხილავი მზის სითბოს სივრცის წყვდიადში ეზიარებოდა... სქელი ღრუბელი გადაეფარა წინ მზეს... თვის ჯანდოსან ციხეში გამოამწყვდია... ჩრდილოეთით ამოვარდნილმა ქარ-ტეხილმა უმწეოდ გადახარა ვანოს ნავიც აქეთ-იქით და აბობოქრებულ ცხოვრების ტალღებს მისცა უგზო-უკვალოდ...

... ერთ კრებაზე ვანოც დააპატიმრეს... გამოამწყვდიეს ციხეში... იძიეს, ჰქიქეს მისი დანაშაული და „როგორც მეამბოხეს და საზოგადოებისთვის მავნე პირს“ შორს რუსეთში გადასახლება გარდაუწყვიტეს...

ვანოს თვალი მოუხუჭია, სუნთქვა ხშირობს, ყვითელი ლოყები ოდნავ შესწითლებია... ტალღას ტალღაზე ეხეთქება ნავი... ხან გვერდზე გადაიხრება... ტალღის შხეფი სცემს ვანოს სახეში... ხან ისევ გასწორდება, მაგრამ შემოჰკრავს მეორე ტალღა და ნავს, ვით ბუმბულს, სხვა ტალღას გადუსროლებს... არსად ნათელი, იმედს რომ შეეძლოს ზედ დამყარება, არსად კანდელი ნავთ-საყუდელის მახარობელი... ზღვის გრგვინვა, გრიგალის წუწუნი, ტალღების კვნესაა ირგვლივ მხოლოდ...

— ქრისტე აღსდგა! ისმის დერეფანში ჰონჰილაანთ ბრუტიან ტეტიკას ხმა.

— ო, ვანო, ჩრისტა სისტაში! . შემოსძახის კარების პაწია სარკმლიდან ოსი კიბილა, ნათლი-მამისთვის რომ ცხენი მოუპარავს და აგერ მესამედ ეგებება აქ აღდგომას...

— ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!—ესმის ვანოს ზედი-ზედ. ციხის ეკლესიაში წირვა გათავებულა, ტუსაღები საკანებში . ბრუნ-

# ტფილისი



მეტეხი.

დებიან და ბორკილის ჩხარუნით ულოცავენ ქრისტეს აღდგომას აქეთ-იქით იმათ, ვინც იმ ღამეს ლიტანიაზე არ წასულა... ვანო ერკვევა, ნაღვლიანი გადაჰხედავს კარისკენ, თვალს ჰხუჭავს ისევ და კვლავ ფიქრთა ტალღებში მისცურავს. ჰა! ქრისტე აღსდგა!.. ეხლა იგრძნო ვანომ მხოლოდ რაოდენ შვებას, სიამეს, სიტკბოებას აგრძნობინებდა ხოლმე ეს ორი სიტყვა ერთ დროს. სიღარიბე, სიმშილი, გაჭირვება, ცრემლი სადღაცა ჰქრებოდა და მათ ბნელ, პაწაწკიტელა ოთახში, მზის სხივი რომ არ იცოდა, რაღაცა ნათელი ჩამოადგებოდა და კედელს ნესტის ცრემლები შეაშრებოდა... გრძნობდა პატარა ვანოს გული, რომ ის დღე რაღაცა უჩვეულო დღე იყო, სიამის, შვების, ნეტარებისა, გრძნობდა, რომ იმის შემდეგ ცხოვრება, ხალხი, ქვეყანა ის როდი უნდა ყოფილიყო, რაც გუშინ იყო... აკი სკოლაშიც ასე მიუბნობდა მათ მასწავლებელი... დაემკვიდრა ქვეყანასა ზედა ავი, ბოროტი დაეუფლა ნათესავსა კაცისასა... წაირყვნა მადლი, დაიხშო სასოება, აღსდგა ნათესავი ნათესავსა ზედა და შვილმა აღარა იცნო დედა თვისი... იქნა მონობა, უსამართლობა დიდი... და ზეცით წარმოგზავნილმა ძემ ღვთისამ შეიყვარდომა დაჩაგრულნი და დამაშვრალნი და კაცისა ნათესავისა ცოდვის, თვის სისხლით გამოსყიდვის ტვირთი იდვა... და ეცვა ჯვარს და აღსდგა მკვდრეთით... ამ დღესა ზეიმობდა კაცობრიობა, ეს დღე იყო, პატარა ვანო რომ გულის ფანცქალით ელოდა ხოლმე და სიხარულს ეძლეოდა იქ, სადაცა სევდა ნაღველი ჩაგუბებულიყო. არას დროს კი არ ჩაჰფიქრებია მაშინ ვანო, „აღდგომის“ შემდეგ ცხოვრება ძველი გზით რად მიჩანჩალებდა, ჩაგვრას, უსამართლობა რად ემატნა, ერთ დიდ, აღქაფებულ ზღვად რად გარდაქცეულიყო და შიგ უმწეოდ რად ილუპებოდა ყველა, ვისაცა სურდა სიმართლის, სათნოების, გულწრფელობის გზით მეორე ნაპირს გადასულიყო... მერმე ჩაუფიქრდა ამას მხოლოდ, როცა ნათელმა შეუღო გონების კარი, სინამდვილის წიგნი გადმოშალა და ცხოვრებას ჩაჰხედა გულში... ჰე! ქრისტე აღსდგა! იმეორებდა ყველა ცხრამეტი საუკუნია, ქრისტე

# ტფილისი



ნარიყალას ციხის ნანგრევები.

აღსდგა! ისმოდა ყოველ წელიწადს, ქრისტე აღსდგა! გადმოსცემდა წინაპარი შთამომავალს და ისიც ამას მაშინალურად იმეორებდა... ქრისტე კი გვემული საფლავსა შინა განისვენებდა... და უფრო იგრძნო ვანომ სიმწვავე შეცთომილებას, როცა დღევანდელ საშინელებას გადაავლო გონების თვალი... აგერ ვრცელი, ვრცელი, ვრცელი ველი ბრძოლისა, თვალ-უწვდენი, უსაზღვრო, განუზომელი... დედა-მიწის გულიდან ამოხეთქილა ცეცხლი ულევი და ცასა სწვავს გულს ალი მისი... დიდ კოცონ-კოცონ ასობით, ათასობით, მილიონობით იწვის ხალხი... და არის წრტიალი, ყიჟინა, გოდება დიდი... სისხლის ღვართქაფს წაულეკავს ჯეჯილი და სვავნი გამაღებული უკორტნიან მკერდს ბრძოლაში დაღუპულ გმირებს... ტყე, მინდორი მოფენილია ძვლებით და ზღვის ბრძოლის ველზე ტალღას ტალღაზე გადააქვს დაღუპულთა გვამები... სდგას დედა მანდილ აწეწილი, სახე ჩამოხოკილი, ცრემლ გამშრალი, და წარკვეთილ სასოთი თვის დაღუპულ პირმშოთ დასცქერის... ერთი... ორი... ათი... ასი ათასი... აგერ იქით დაქცეული ოჯახი... უსინათლო დედა... მშიერი, მშიერი ბალღები... კალთას რომ ახევენ დიდედას და პურსა სთხოვენ... იქ მთელი კუთხე, კაკუთხე, სამოთხისებური კუთხე, აოხრებული, ზარბაზნის ტყვიით გადახნული, მტილნი გადახრუკული, სახლ-კარი დაქცეული, მცხოვრებნი ხელივით გაჭრილი მთადა და ღელედ... ვინ შვილს მოსთქვამს, ვინ ცოლს ნამუს ახდის, ვინ დედას მახვილით განპობილს... აგერ მიჯნური... სატრფო ბრძოლად გაუგზავნია... დიდი, დიდი ხანია იმისგან აღარაფერი ისმის და თვალ-არეული, ლოდინით გულ-მილეული, შმაგ მდინარეს დამეგობრებია... იმისი ტალღები ჩაიხუტებენ სატრფოს მაგივრად... განაპირას ქოხია კედლებ

# ტფილისი



ანჩის ხატის ტაძარი.

ჩამოქცეული, გვერდზე გადახრილი, დაღრეჯილი, ვითა პატრონი... გაცრძნილია კარ-მიდამო, გაძარცულა დოვლათი... გუთანს ჟანგი მოჰკიდებია და პირ-ულესი ნამგალი დალეწილი ჰკიდია კაჩხაზე... ქანცმილეული, ხელ-აკანკალებული, წელში ოთხად ხრილი, თმა წვერ თეთრად პენტილი ზის მოხუცი მზეზე და უიმედო თვალით შორს, შორს გაიცქირება... ხომ არ მოსჩანს შორიდან იმისი გიო... ველის მეორე ნაპირას კი გდია გიო გაფათრული... ხახა გამშრალი, მისუსტებული, ელის სიკვდილს და შორს, შორს ჰფრენს მისი გონება სამშობლო მხარეს, ქოხს, მშობელ მამას... სუსტი ხელით უჩნევს ყორანს, სისხლით დამთვრალი რომ ყრანტალით ეტანება მის მკერდს საკორტნად... ჰაუ, ტიალო ბედო, სადაური სადა ვკვდები!.. ჩურჩულებს გიო და დუმდება სამარადისოდ... შორს, ტყვიის ნაკვალევზე ცეცხლს გადაუვლია... უზარმაზარი სოფლები, ქალაქები გადაუბუგავს და ერთს წუთში დაუღუპავს ის, რაც საუკუნოებისა შექმნილა... რაკ! რაკ! რაკ! რაკ! მორაკრაკებს ყოველის მხრიდან დედების, ცოლების, შვილების ცრემლთა ნაკადულები.

შშშ!.. სსსს!.. ეპირებს გრგვინვას იმ ნაკადულების ზღვა...

გათენებულა. პაწია სარკმელში ჩუმად შემოპარულა მზის სხივები. სარკმლის წინ კედელზე ჩამწკრივებულან მტრედები, ფრთებს ისწორებენ და საამოდ გაუდით ღუღუნი... გასაღების ჩხარუნით მოდის დერეფანში დარაჯი. ვანოს საკანთან ჩერდება: არაყით გალეშილი შემოიხედავს კარების სარკმელში და ხრინწიანი ხმით შემოაძახებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტფილისი



ხევი ბოტანიკურ ბაღთან.

-- Христос воскресе!.. Да слышь, чего нюни распустилъ! Христос воскресе!.. მაგრამ პასუხს ვერ მიიღებს და ფეხს ბარტყუნით ჩაივლის ქვემოდ.

მიაუ! კნავის დერეფანში ცხის ზეზერა კატა. თითქოს ისიც ულოცავს ტუსაღებს -- ქრისტე აღსდგაო!..

ნაუუუ! ნაუუუ! ნაუუ! გუგუნებს დიდი ზარი.

ნაუ! ნაუ! ნაუ! ნაუ! უდასტურებენ მომცრონი.

ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! იძახის ყველაფერი.

ვინო კი ნწვავე ფიქრთა ტალღებში სრბოლით მოქანცული, მკრთალი ბაგით, თავისდაუნებურად იმეორებს სწრაფად, ხმა-დაბლა, თვალ-დახუჭული:

— ვითომ?.. ვითომ?..

**სანგანიძე.**

# ტფილისი



სათ აზნაურო გიმნაზია.

# „შეკითხვა და განმარტება“

**არც დრამა და არც კომედია.**

ორ მოქმედებიანი პიესა სეფვეთ-ნეზიჰისა.

**(თარგმანი ოსმალურიდან).**

ვუძღვნი სააღდგომოდ ჩვენს ტკბილს და დაივიწყებულს მგოსანს **კნ. ნინო აბაშიძის [ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას.**

მთარგმნელი.

**მოქმედნი პირნი:**

**რუქნიდდინ-ბეგი.** 55 წლის საერთო საკულტურო საქმეთა და ხუროთ მოძღვრებათა მინისტრი.

**ნიგარისტ-ხანუმი.** 45 წლის. მეუღლე რუქნიდდინ-ბეგისა.

**ბედრიდდინ-ბეგი.** 25 წლის. შვილი რუქნიდდინ-ბეგის.

**ჰუსეინ-ვეჰბი-ფაშა.** 70 წლის. სამართლიანობის აღმადგენელი და ღირსება უქლებათა უზრუნველყოფის საქმეთა მინისტრი.

**სედბერქ-ხანუმი.** 65 წლის. ჰუსეინ-ვეჰბი-ფაშის მეუღლე.

**სელმა-ნაზიქთერ-ხანუმი.** 20 წლის, ვეჰბე-ფაშის ბადიში, ე. ი. შვილის-შვილი.

**პირველი მოქმედება.**

ფარდა აიხდება და გამოჩნდება ჰერემის *) განყოფილებაში ევროპიულ და თურქულ გემოვნებაზე მორთული ოთახი. გვერდებით თითო კარი. კიდევ ერთი კარი.

# ტფილისი.



სასახლის წინანდელი შენობა (თავ. ვორონცოვის დროის).

**პირველი გამოსვლა.**

(სედბერქ-ხანუმი მდივანზე წამოწოლილია. სელმანაზიქთერ მანემომის ფეხებთან სავარძელში. ჩაფლულია, ოცნებაში გართულია. ღამეა; ლამფები ანთია).

**სედმერქ-ხანუმი.** ქალო, სელმა, დღეს შენც სრულიად არაფერს ლაპარაკობ. ჯავრისაგან ვსკდები. ფაშა ჯერაც არ მოსულა. ნეტავი, რა მოხდა. როგორ გათავდა საქმე? ეჰ, სული მიწუხს ეს კიდევ რა ჯანდაბა წამოგვატყდა თავს?

**სელმა.** რა ჩემო დედილო?

**სედბერქ-ხანუმი.** რა უნდა იყოს? ჩემმა ენამ ვერაფრით შეითვისა, ფრინველია, თუ რაა? არც დედისაგან გაგვიგონია. ასეთი უცნაური რამ არა გვინახავს. უჰ, არევ-დარეული სიტყვაა. აბა, სელმა, ერთი ამიხსენი, ღვთის გულისათვის, რას ნიშნავს.

**სელმა.** რა გნებავს ჩემო დედილო?

**სედბერქ-ხანუმი.** ჩემო კარგო, შენს პაპას რაღაც პასუხი უნდა მოსთხოვონო. რა უნდა იყოს! სთქვი ერთი, ენის წვერზე მაქვს და ვერაფრით გამომითქვამს.

**სელმა.** ჰოო! შეკითხვა და განმარტება.

**სედბერქ-ხანუმი.** უჰ! კარგადა სთქვი, ერთი ჩვენის მშობლების ენით გამაგებინე, ჩემო მტრედო სელმა, ეს უცნაური სიტყვები რას ნიშნავს?

*) ჰერემის განყოფილება ნიშნავს ცოლშვილის სამყოფს.

**ხელმა.** ეს რამდენიმე უკვე აგიხსენით, ჩემო დედილო. პარლამენტში—საერო კრებაში ხალხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ანგარიში მოსთხოვონ მინისტრთა საბჭოს. ძირითადი კანონები ხალხის კანტროლის გაწევის უფლებას ანიჭებს. პარლამენტის წევრებიც ხალხის რწმუნებულები არიან! ისინიც რამე ურიგობას რომ დაინახავენ მთავრობის სათავეში მყოფ მინისტრთა საბჭოსაგან, შეეკითხებიან, გაკეთებული საქმეების შესახებ ანგარიშსა და განმარტებას მოსთხოვენ.

**სედბერქ-ხანუმი.** ჩემო გოგონა, არის უფრო მარტივი თურქული სიტყვა, არა? მე რომ გამეგებოდეს, ისე ილაპარაკე.

**ხელმა.** ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ჩემო დედილო. სხვანაირად აგიხსნი. მაგალითად, მე ჩემი ოთახის გამგე ვარ; იმას როგორც მსურს, ისე მოვაწყობ. ხოლო ოთახი კი ჩემი არაა. თქვენ რომ ავეჯეულობა მომეცით, პირობა დამიდევით: როგორც გსურს ისე მოიხმარე, მაგრამ ყოველივე წესიერადა და თავ-თავის ალაგას იყოსო. და მეც ამ პირობით მივიღე ყველაფერი.

**სედბერქ ხანუმ.** ო-ო, ეს კი მეტად გაუჭიანურე, სრულიად შეუფერებელია... განა აწის დრო ეხლა?

**ხელმა.** არა უშავს, ეს მაგალითად მომყავს, დედილო. მერე ერთ დღეს თქვენ ოთახის დალაგებაში უწესოება რომ დაინახეთ, არ მეტყვი: ხელმა, ეს რატომ ასე გიქნია? ეს რისთვის თავის ადგილიდან აგიღია? ის რატომ აქ დაგიდგამსო? აი სწორედ ასეთია შეკითხვაც საერო კრებაში, პარლამენტში.

**სედბერქ ხანუმ.** ოჰ, ჩემი გონება მაინც ვერ მისწდომია. თავის დროზე არა გვისწავლია რა... საბრალო ცხონებული მამაჩემი ასეთს დღეებს უნდა მოსწრებოდა. ეხლა რას გაიგებს! კარგი, ჩემო კეთილო, მე შენი დიდედა ვარ უსათუოდ გკითხავ, გაგიჯავრდები. მაგრამ ეს წარმომადგენლები რის მაქნისია? დიდი ვეზირი არაა? ხონთქარი არაა?

**ხელმა.** შენი გონება თუ ვერ მისწდომია, ჩემო დედილო, ნურც გაერევი მაგისთანა საქმეებში.

**სედბერქ ხანუმ.** არა ერთი ამას შეხედეთ და! ჩემი შვილისშვილი იმ კვერცხის ნაჭუჭს იწუნებს, საიდანაც გამოჩეკილა. მაინც ნერვები აშლილი მაქვს და შენ მთლად გადამრიე.

**ხელმა.** ბატონო, თქვენ ასე რად სწუხართ? თქვენს დროში ასეთი არაფერი ყოფილა. ეხლა საჭირო დარჩა; აწ ასე უნდა იქნეს. (ამ სიტყვების შემდეგ ხელმა წამოდგება. ლამპას პატრუქს ცოტა გაასწორებს და დიდედის წინ გაჩერდება, ნაღვლითა და ღრმა თვალით გადახედავს) საბრალო ჩემო დედილო, შენ ამ ქვეყნად მეტად ადრე მოვლინებულხარ.

**სედბერქ-ხანუმ.** რატომ? ათასჯერ მადლობა ღმერთს, მე ჩემი მდგომარეობის მადლიერი ვარ. კარგად ვცხოვრეთ. თქვენსავით ასე არ გვიფიქრია, ასე როშვით თავი არ შეგვიწუხებია. ახალგაზრდობაში, ჩვენი დრო ბედნიერად გავატარეთ. შენ მთელი ორი საათი ამ დივანზე იწექი და ფიქრობდი, მე კი შენი ხნის რომ ვიყავი...

**ხელმა.** რას აკეთებდი ჩემო კარგო დედილო?

**სედბერქ-ხანუმ.** ცხონებულს შენს დედას ძუძუსა ვაწოვებდი. ის ჩემი მეორე შვილი იყო. ჰაიგიდი ჰეი!.. ეხლა კი ყველაფერი შეიცვალა; ქვეყნის დარდი და ვარაში, მწუხარება თითქოს ახალგაზრდებსა დარჩენიათ.

**ხელმა.** ეგრეა ჩემო დედილო, ყოველივე შეიცვალა. ქვეყნიერებაც კი. (ცოტა შეჩერდება. კვლავ ლამპისკენ წავა, გასწორებას დაიწყებს). მაგალითად ეს ლამპარი, შენს ახალგაზრდობაში ესეთი იყო? თქვენ რომ ქონის სანთლებს, სწვავდით ასე ენთებოდა? მაგრამ ეხლა ამ პატრუქ გამასწორებელი ხელი სჭირია გამოცდილი და უნარიანი ხელი. უამისოდ ან პატრუქი გაიჩხირება და მიდამოს სინათლეს აღარ მისცემს. ან მეტად აიწევა და ოთახს ბოლით დაახშობს.

**სედბერქ-ხანუმ.** კარგი მაგრამ რა ადგილი აქვს ეხლა ამ სიტყვებს რომ ლაპარაკობ.

**ხელმა.** ჩემო საბრალო დედილო! რა რიგ მებრალები! რა ადგილი უნდა ჰქონდეს? აი ეს ლამპარი სწორედ ზედ გამოჭრილი მთავრობის საქმეა, დღევანდელი საკონსტიტუციო მთავრობის საქმე. უწინდელ დროში პატრუქი ხან აწეული იყო, ხან დაწეული... ვის რა ენაღვლებოდა! მთავრობა არხეინად განისვენებდა. კვამლი თუ ამოვიდოდა, სხვებს მოედებოდა თავზე. სინათლე თუ ცოტა იქნებოდა, მთავრობას მაინც გაუნათებდა. სხვები სიბნელეში კი რჩებოდნენ, გზას ვეღარ ჰპოულობდნენ...

**სედბერქ-ხანუმ.** ჰოო! ეგა? ეგ თამაშობაა, შვილო.

**ხელმა.** დიახ, თამაშობაა. მაგრამ ცუდი თამაშობა. ეხლა სულ სხვა საქმეა საჭირო, დრო გამოიცვალა. სინათლე თუ ნაკლები დარჩა: „თვალი-თვალს ვეღარ ხედავს. ეს, რა ამბავია“-ო? ანგარიშს მოითხოვს. ხმის ამოღების საკანტროლო ბიურო არსებობს.

**სედბერქ-ხანუმ.** ვითომ, რას ნიშნავს ეს საკანტროლო ბიურო?

**ხელმა.** უუჰ, ჩემო დედილო, სიტყვას მაწყვეტინებ. ბიურო ყოველი საქმის გამრჩეველი, პასუხისა და ანგარიშის მომთხოვნელი მოურავის მსგავსი რამაა...

**სედბერქ-ხანუმ.** ღმერთო, ღმერთო; მერე ამდენი მოურავი გაგონილა? ჩვენ ვიცით, რომ სახლში ერთი მოურავი არის ან მეთვალყურე.

**ხელმა.** ოცდა ათს მილიონ ხალხსა ერთი მოურავი გაწვდება? მერე ეს მოურავები მთლად ჩვენი სახლის მოურავს არა ჰგვანან. ბრძანებას არ გასცემენ. მხოლოდ „ეს რად ისე გააკეთე? ის რად ასე გააკეთე“-ო ყოველთვის იკითხავენ, თვალ-ყურს ადევნებენ. ოთახში ცოტა მეტი ბოლი თუ დადგა „უუფ! ეს, რაა? ყველა იხრჩობა“-ო, ხმას ამოიღებენ. აი ჩემს პაპასაც დღეს ამგვარის კითხვებით მიმართავენ, ჩემო დედილო! აი ესაა შეკითხვა საკონსტიტუციო სახელმწიფოში შენ რომ გაინტერესებს.

**სედბერქ ხანუმ.** სიცოცხლეში ჯერ კიდევ რას არ დავინახავთ, და რას არ გავიგონებთ, ღმერთო ჩემო!

**ხელმა.** ნუ სწუხარ! რასაც დავინახავთ ძველად ნანახზე უარესი არ იქნება. ეხლა განმარტებაზე დავიწყებ... (სკამს აიღებს და დიდედასთან დაჯდება) ესეც პასუხი. მოსამსახურე მამაკაცი იქნება თუ დედა-კაცი იმ შეკითხვასა პასუხი უნდა მისცეს. რატომ არის გაფუჭებული ლამპარი, უნდა სთქვას. უნდა აჰსნას, როგორ შეკეთდება. შემდეგ უნდა გაიმართლოს თავი, რომ ამ საქმეში ვითომ დანაშაული არ მიუძღვის.

**სედბერქ-ხანუმ.** და თუ ყველაფერი ეს ვერ მოახერხა?...

**ხელმა.** „მოურავო, შენ ამ საქმის კაცი არა ხარ, აქედან გასწი, წადიო.“ ესე იგი გადადგომის ქაღალდი უნდა შეიტანონ.

**სედბერქ ხანუმ.** უუჰ, ნუ იტყვი, ნუ ამბობ. რაღაც მწუხარება მიპყრობს. ვაი, თუ პაპაშენიც დღეს ჩამოვარდა?

**ხელმა.** რა უყოთ! „ასეთი ყოფილა ბედისწერაო“ ვიტყვით და მოთმინებას მივეცემით. მორჩა და გათავდა.

**სედბერქ ხანუმ.** ღმერთმა ნუ მოგვასწროს მაგ დღეს! მერე რა მდგომარეობაში ჩავარდებით?

**ხელმა.** რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდეთ? სამი კაცის კეთილდღეობისათვის მილიონობით ხალხი თავის სიცოცხლეს ხომ ვერ გასწირავს!

**სედბერქ-ხანუმ.** კარგი, მაგრამ, შენს პაპას იმ პატრუქის შესახებ ვინ უნდა ჰკითხოს?

**ხელმა.** ვინ უნდა ჰკითხოს? ხალხის წარმომადგენლებმა, პარლამენტის ერთმა, ან რამდენმამე წევრმა.

**სედბერქ-ხანუმ.** რად უნდა ჰკითხონ? რა უფლებითა?

**ხელმა.** (სკამიდან ადგება, გაჩერდება, დიდედის წინ მივა და დაჯდება, მღელვარებით ფეხებს ძირს დაარტყამს და ხმა მაღლა) რა უფლებითო? შენი მიცემული უფლებითა, ჩემის მიცემული უფლებითა. ხალხის მიერ მინიჭებული უფლებითა. დედილო, ჩემო დედილო... დღეის აქეთ ჩვენი ჭეშმარიტი დედა სამშობლო არისო, ჩვენი ოჯახი ჩვენი ერია. ეხლა ძირითადი კანონებია ბატონი და მცველი და დარაჯია პარლამენტი. გესმის, დედილო, უსათუოდ უნდა იძიონ, უნდა იკითხონ... რაც ჩვენთვის არაა გამოსადეგი, უნდა დაამტვრიონ, უნდა მოსპონ...

**სედბერქ-ხანუმ.** ოჰ! ღმერთო შენ დამიფარე. შენ რაღა გემართება, ქალო?

**ხელმა.** მე რა მემართება? არაფერი, ისე? მკერდი გამიხსენი და გულში ჩამხედე. ჩემი მდგომარეობისა არა გესმით-რა. სინიდისი მტანჯავს, ვკვდები. ყოველ კუთხეს ბნელადა ვხედავ. ჩაგრულთა ოხვრა-გოდებასა ვიზიარებ. თქმა არ უნდა, ამიერიდან უნდა შეეკითხონ... ანგარიში მოითხოვონ... ვინც საქმეს არ გააკეთებს, უნდა გააგდონ, საქმისთვის უვარგისები უნდა ჩამოაგდონ... (ამ დროს კარი გაიღება. ჰუსეინ-ვეჰბი-ფაშა დაღლილ-დაქანცული შემოვა).

**მეორე გამოსვლა.**

ჰუსეინ-ვეჰბი-ფაშა და წინანდელები.

**ვეჰბი-ფაშა.** უჰ! მოვკვდი, თავბრუ-დამესხა. (სედბერქ-ხანუმი წამოდგება. კარისკენ მიეშურება. ხელმა შურით გადაავლებს თვალს ამ უცნაურ სცენას).

**სედბერქ-ხანუმი.** სთქვი, ფაშავ, ღვთის გულისათვის, სთქვი! რა ჰქენი? ჩამოგაგდეს?

**ვეჰბი-ფაშა.** (დარბაისლურად წინ წამოიწევა, რწმენის კილოთი) ჩამომაგდეს? არა, არა ნუ სწუხარ. არ ჩამოვარდნილვარ. პირიქით ავმაღლდი, ავმაღლდი (ორატორის გამომეტყველებას მიიღებს და ხელს მაღლა ასწევს) იმ ზომაზე ავმაღლდი რომ... (გამარჯვების ალტაცებით გაიღიმებს).

**ხელმა.** (თავისთავად) იმ ზომაზე რომა... ვარსკვლავებს მიაღწიე.

**ვეჰმი-ფაშა.** (დაღლილობისა გამო მდივანზე დაეშვება) სელმა, ჩემო გოგონა, ღონე არა მაქვს, რომ ჩემს ოთახში შევიდე. დღეს ბევრი ვილაპარაკე. ჩემი ხალათი მომიტანე. უკვე ისადილეთ, არა! მე ცოტა რამ მომიმზადონ. აი აქვე ვჭამ, საქმესაც მოვათავებ.

**სელმა.** (გვერდის კარიდან გავა).

### მესამე გამოსვლა.

ვეჰმი-ფაშა და სედბერქ-ხანუმი.

**სედბერქ ხანუმ.** (დივანის მეორე კუთხეში მივა და ფაშასა რედინგოტის გახდას დაუწყებს).

**ვეჰმი-ფაშა.** (არ უნდა, ცოლი დაეხმაროს) დამანებე, ცოტა ჩემდათავად დავრჩე; აი ასე მივწვე. მოვისვენო. უჰ, ჩემს სიცოცხლეში დღევანდელსავით დაღლილობა არ გამომიცდია.

**სედბერქ-ხანუმ.** რა მოხდა, ფაშავ? ღვთის გულისათვის, სთქვი.

**ვეჰმი-ფაშა,** მაინც რა უნდა მომხდარიყო! გამარჯვება, გამარჯვება... (ნელ-ნელა ზე წამოდგება) ტაში და ვაშას ძახილი... (სელმას ილლიაში ხალათი აქვს, ოთახში შემოდის და ფეხზე გაჩერებული თავის პაპის ამბავი გაიტაცებს) დაფასება... ძლევა-მოსილება, სხვა რა იქნება? (სელმას ოთახში შემოსვლას რომ დაინახავს ლონეს შემოიკრეფს) სელმა, მოდი, მომილოცე. პირნათელი და შუბლგახსნილი გამოველ ამ საქმიდან.

**სელმა.** თქვენი მოვალეობა შეგისრულებიათ, ჩემო პაპა.

**ვეჰმი-ფაშა.** არა, სელმა, ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებისათვის მარტო ამას არ მოველოდი შენგან. ჩემი გამარჯვება ყველას თქვენც უნდა გახარებდეთ.

**სედბერქ-ხანუმ.** ჩემო ფაშავ, ბავშვია, არ უნდა გაუჯავრდე. აი მე გილოცავ. აბა ერთი დალაგებით სთქვი: რა მოხდა, როგორ მოთავდა?

**ვეჰმი-ფაშა.** რა არ მოხდა, რა! რა ნივრიანი გუფთები! (ცოტა შეჩერდება, მათ შეხედავ!) ასე მოდით, მომიჯექით და რაც მოხდა, ყველაფერს გიამბობთ. ცოტა დაღლილი ვარ, მაგრამ არა უშავს-რა. კაცი სიამოვნებით აღტაცებული ძალღონეს იკრებს. სელმა, ასე ჩემ წინ მოდი, ჩემო გოგონა. ჯერ ერთი ეს ხალათი წამოვისხა. (სელმას მიერ მოწოდებულ ხალათს წამოისხამს, რედინგოტს გაიხდის) პარლამენტში საათის რვაზე მიველი. დავინახე, რომ საკულტურო საქმეთა და ხუროთ-მოძღვრებათა მინისტრიც იქაა. პირველი შეკითხვა იმის შესახებ იყო. ჰო, ღმერთო!.. განმარტება უნდა გენახა; საოცარია საოცარია, საკვირველიო საკვირველი!.. პირველად ვექილობა როგორ გამომადგა. არა! ჩემო გოგონა სელმა, მჭერმეტყველება სულ სხვანაირია! კაცი აი ასე ტრიბუნაზე რომ გავა... (ერთ-ორს დაიხველებს). ეს ხმაც ჩამეხლიჩა არა, კაცი რომ იმდენს ილაპარაკებს რა გასაკვირველია!

**სელმა.** საერთო საკულტურო საქმეთა მინისტრმა რა პასუხი მისცა, ჩემო პ პა?

**ვეჰმი-ფაშა.** (სიცილს დაიწყებს) რა პასუხი მისცაო? არაფერი! დაწერილი საპასუხო მოხსენება წაიკითხა. (სიცილს განაგრძობს და) წაიკითხა კი არა, ჩვეულებრივად ჩათვალა. აბა სელმა, ერთი ჭიქა წყალი. ყელი გამიშრა. აი გრძელი სიტყვის ერთი ნაკლიცა ესაა, კაცს ყელი უშრება. (სელმა ზე წამოდგება და ერთი ჭიქით წყალს მიართმევს).

**სედბერქ-ხანუმ.** ჩემო ბატონო, ილაპარაკე, რომ რამე გავიგო.

**ვეჰმი-ფაშა.** არა! ორატორობის დროს ჩემს მიმართულებას არ ვუღალატებ სიტყვის წესიერ გამოთქმის რითმებსა თავს ვერ დავანებებ.

**სელმა.** ფაშას-პაპაჩემს ნუ შეაწუხებ, ჩემო დედილო შემდეგ მე აგიხსნი, განგიმარტავ.

**ვეჰმი-ფაშა.** საერთო საკულტურო საქმეთა მინისტრმა რუქნიდდინ-ბეგმა როგორღაც იყო საპასუხო მოხსენება წაიკითხა. მორჩა, ყველამ რომ თავი დააღწია ამას და თავის უფლად ამოისუნთქა, ამ დროს ლოცვის გადახდასა არ შეუდგა?

**სედბერქ-ხანუმ.** ვინ ჩემო კარგო: ბატონი იმამი? *)

**ვეჰმი ფაშა.** უჰ! ქალბატონო ასე ზედიზედ სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ. იქ იმამი და მუეზზინი **) არ არის. საერთო საკულტურო საქმეთა მინისტრი რუქნიდდინ-ბეგი...

**სელმა.** შეკითხვის დროს ლოცვა რაღასა ნიშნავდა?

**ვეჰმი-ფაშა.** პარლამენტის წევრებს „ამინს“ ათქმევინებს. მერე ლოცვაცა არაჩულად იყო. არაბულის არა მცოდნე პირებიც მცოდნეთ აყვნენ, ერთი ხმაურობა გაისმა, ამინ... ამინო!..

**სედბერქ ხ ნუმ.** რისთვის?

*) იმამი ნიშნავს სასულიერო წოდებას, რომელიც მეჩეთში ალოცებს ხალხს.

**) მუეზზინიც ნიშნავს მეჩეთის დიაკონი მსგავს მსახურს.

**ვეჰმი-ფაშა.** რისთვის რასაკვირველია, გვალვის დროს წვიმის შემავედრებლად არ იქნებოდა. სახელმწიფო საქმეების მიწერ-მოწერის და გაუმჯობესობისათვის ღვთისადმი მიმართული ვედრება იყო!

**სელიმ-ხანუმ.** სახელმწიფო ენა განა თურქული არ უნდა ყოფილიყო, ჩემო ფაშა, პაპაჩემო.

**ვეჰმი-ფაშა.** ეგრე არის, მაგრამ თურქულად ლოცვა ისეთს შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა.

**სედბერქ-ხანუმ.** ბატონო ჩემო! დღეს იქა სალოცავად წაჰვედით? რაღა იქნა ის კითხვა და პასუხი?

**ვეჰმი-ფაშა.** გაჩერდი, ქალბატონო სიტყვას ნუ მაწყვეტინებ. მჭერმეტყველების კანონით ეს არ შეიძლება; სიტყვა ბოლომდის უნდა მოისმინო. დღეს პარლამენტის წევრებიც ასე მოიქცნენ. სწორედ ხუთჯერ აველი ტრიბუნაზე, გესმის, სედბერქ, სწორედ ხუთჯერ.

**სედბერქ-ხანუმ.** როგორი ტრიბუნა ყოფილა, აბა ვნახო! იქა საქადაგებლად გადიხართ?

**ვეჰმი-ფაშა.** ბატონო ჩემო, გაჩერდი, ერთი ვილაპარაკო. ეგე შენ რომ მოლლების საქადაგებელი ტრიბუნა გინახავს, ასეთი არაა. ორატორების სიტყვის წარმოსათქვამი მაღალი ადგილია... უუჰ! სიტყვა შემაშლევინე. შენ რომ კაცი ყოფილიყავი და პარლამენტში შესულიყავი, ჩემო ქალბატონო, არავის სიტყვას არ ათქმევინებდი. კვლავ სიტყვის ძაფი გამაწყვეტინე...

**სედბერქ-ხანუმ.** რას ლაპარაკობ?.. შეშლილი ხომ არა ხარ!..

**ვეჰმი-ფაშა.** გაჩერდი, ღვთისგულისათვის, სიტყვა დავაბოლოვო. დღეს პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა სათქმელი სიტყვები ყელში ჩამჩარა; შენც აგრე ნუ იქცევი.

**სელმა.** ჩემო დედილო, ჩემი გულისათვის ცოტა გაჩუმდი.

**სედბერქ-ხანუმ.** ღმერთო ჩემო, მე რას გიშლით? ღმერთმანი, ამათ რაღაც მოსვლიათ!

**სელმა.** პირველი შეკითხვა რაზედ იყო, ჩემო ფაშა პაპა?

**ვეჰმი-ფაშა.** რუქნიდდინ-ბეგს რომ შეეკითხნენ? პარლამენტის წევრები ეკითხებოდნენ: საერთო კულტურული დაწესებულება, საქმის კაცთათვის კი არა, მდიდრების და მათი ამალის საწველ-ფურადაა გადაქცეულიო. უპატრონოდ დარჩენილი და სახელმწიფოს ხელში გადასული მამულები ვინც დაასწრებს მისიაო, შემოსავალი უთავბოლოდაა დახარჯულიო. საკულტურო საზოგადოებანი განადგურებულია, აყვავებული ადგილები გაპარტახდაო, სადაც ბუები ბინადრობენ. ოთხი თვის მინისტრობის გახმაურებაში არა გაგიკეთებიათ, აწ რა უნდა გააკეთოთო!..

**სელმა.** სამართლიანი შეკითხვაა.

**სედბერქ-ხანუმი.** ჰოი! ჩემო თავო, გულზე უნდა გავსკდე. ამ სიტყვებიდან რა უნდა გამოვიდეს? ღვთის გულისათვის ცოტა მეც მიმახვედრეთ, ბუებს ლაპარაკობდი. კვლავ ზარბაზნები უნდა გაისროლონ?

**ვეჰმი-ფაშა.** უუჰ, ქალბატონო, დღეს მართლა გულზე უნდა გამხეთქო. შენი ზარბაზანივით ეხლა მეც უნდა გავსკდე. ის რომ გაიგონე „ბუ“, ზარბაზნის ხმა კი არა... ზარნაშოსა ნიშნავს.

**სედბერ-ხანუმ.** ღმერთმანი დღემდე ბუსაც თუ ბუს ეტყოდნენ, არ ვიცოდი. მოდი, და ნუ გაიკვირვებ! ბუ პარლამენტში რა საჭიროა? ბულბული რომ იყოს, შაშვი იყოს, კიდევ ჰო, მათი გალობა მოსასმენია, მაგრამ...

**ვეჰმი-ფაშა.** არა, სედბერქ. ცოტა მოისამართლე და გაჩუმდი, მოითმინე. ბუ გალიაში არ ჩაუსვამთ, პარლამენტში არ მიუყვანიათ. ჩემო კარგო, ბუ გაპარტახებულს ადგილებში ცხოვრობს. საერთო საკულტურო საქმეთა მინისტრმა ქვეყანა გააპარტახა, ეხლა იქ ბუები „კოკომავ, კოკომავ“ ყვირიანო და ეს, რამ გამოიწვიაო? ეკითხებოდნენ.

**სედბერქ-ხანუმ.** შენც გეთქვა: თავი ამოგივარდათქვა! ამდენიც ვერ მოახერხე? ჰოი ყურებმა გიწივლოს ფემბე-ხანუმ. ტყვილად არ მეტყოდი: ქალო, ფაშის ცოლის მაგივრად რომ კაცი ყოფილიყავი, რა საქმეებს არ გაარიგებდი, რა საქმეებსო!!!..

**სელმა.** ღვთის გულისათვის, მე თუ გიყვარვარ, ცოტა დაჩუმდი...

**სედბერქ-ხანუმ.** რა თქმა უნდა! რაც თქვენთვის ხელსაყრელი არაა, იმის მოსმენასა არ ისურვებთ. ნათქვამია: მართლის მთქმელს ცხრა მთის იქით განდევნიანო. (გულმოსული ფაშას მიუბრუნდება) აბა სთქვი, ვნახო, შენ რა პასუხი მიეცი.

**ვეჰმი-ფაშა.** ამას მე კი არ მეკითხებოდნენ, ჩემო ბატონო; არამედ რუქნიდდინ-ბეგს.

# ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ



ბოტანიკური ბაღი.

**სედბერქ-ხანუმ.** აგრე სთქვი-და! სხვაა. იმის რა დარდი მაქვს. იმას რაც უნდათ ის ჰკითხონ.

**ვეჰმი-ფაშა.** არა, სედბერქ, რაც არ გესმის, ნუ გაერევი. ჩვენ ერთი-მეორის მოქმედებისა პასუხის მგებელი ვართ.

**სედბერქ-ხანუმ.** ღმერთმანი, ფაშა, დღევანდელ ლოცვასა როგორც ჩანს შენი გონებაც შეურყევია, შენი ლაპარაკი თურქული არაა.

**ვეჰმი-ფაშა.** უუჰ, მართლა უნდა გავსკდე. დღეს რაც წვალება განვიცადე, ამასთან არაფერია ბატონო, შენ რომ გაიგო... მინისტრები, ჩვენ ერთმანეთის თავდები ვართ. ჩვენ შორის ერთმა ვინმე რომ ცუდი საქმე მოიქმედოს, დანარჩენებმაც ამის პასუხი უნდა აგონ, ეხლა გაიგე?

**სედბერქ-ხანუმ.** არა სჯობს, ასე ილაპარაკო!

**ვეჰმი-ფაშა.** ყველაფერი იქნება. მჭერმეტყველურს ვერ დავკარგავ. ამის შემდეგ ორ დღეში ერთხელ იმ ტრიბუნაზე უნდა გავიდეთ. მაგალითად... (ვეჰმი-ფაშა დივნის ზედ ფეხებით ავა და გასწორდება, ერთ-ორს დაიხველებს და ხმას გაიწმინდებს. თითქოს პარლამენტის წინაშე იმყოფებაო, ხმას აიმაღლებს) ღირსეულო წარმომადგენლებო, ხალხის პატივცემულო ვექილებო... თუმცა ოცდა ათი წლის მასწავლებელი ვარ, მაგრამ თქვენ მაინც გაკვეთილს ვერ მოგცემთ, ეს ჩემს ნიჭს აღემატება. მხოლოდ გთხოვთ არჩეულ მრუდე გზას თავი გაანებეთ, მეორე ხარისხოვან საქმეებს ნუ აჰყვებით... ჩვენ... დიახ მხოლოდ ჩვენ დაგვანებეთ... გესმით, ბატონებო, მხოლოდ ჩვენ...

# ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ



ირზულიძეები (ციხის) აბანო.

**სედბერქ-ხანუმ.** ფაშავ, ფაშავ, შეიშალე? ვის უყვირი? ამ სიტყვებს ვისეუბნები?

**ვეჰმი-ფაშა.** (დივნის ზედ დაეშვება) უუჰ! კაცსა სიტყვის გათავებას არ დააცლი, სწორედ საუკეთესო ალაგას შემიწყვიტა სიტყვა. ამ სიტყვებს შენ არ გეუბნები. ვითომ პარლამენტში ვიმყოფები და ხალხის წარმომადგენლებს მივმართავ.

**სედბერქ-ხანუმ.** ჰო! ეგ, სხვაა. მერე, რუქნიდდინ-ბეგმა რა პასუხი მისცა? ეგაა საინტერესო.

**ვეჰმი-ფაშა.** პასუხი არ გაუცია, წაიკითხა.

**სედბერქ-ხანუმ.** რა?

**ვეჰმი-ფაშა.** ხელში დაკავებული ქაღალდი.

**სედბერქ-ხანუმ.** ბარათი დაეწერა?

**ვეჰმი-ფაშა.** დიახ. უუჰ! ქალბატონო, თუ ღმერთი გწამს, ხმა გაკმინდე... მეცა გადამრიე!..

**სელმა.** სთქვი, გევედრები, ფაშა პაპაჩემო. რუქნიდდინ-ბეგი თავის საპასუხო წერილში რას ამბობდა?

# ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ



ძველი უბნის ნაწილი.

**ვეჰმი-ფაშა.** ძალიან მარტივსა, მაგრამ გადაჭრილს პასუხს. რაც მინისტრად დამდგარა, უძებნია საქმის მცოდნე და მუყაითი მოხელე, მაგრამ ერთიც ვერ გამოუნახავს. საქმეებიც ამიტომაც რიგიანად არ წასულა. თუმცა სამინისტროს შემოსავალი გაფლანგულა მაგრამ მისი დაბრუნების იმედი აღარა აქვს. შემოსავალი უღირსოებისთვის მიუციათ მაგრამ მე ლუკმას ვერავის წავართმევო. დღევანდლამდე არაფერი გაკეთებულა და ამის შემდეგაც ვერაფრის გაკეთებას ჰკისრულობს.

**სედბერქ-ხანუმ.** ვაშა, რუქნიდდინ-ბეგს. ნახე პასუხი! სიტყვაც სწორედ ასეთი უნდა; სთქვი და მოსჭერი.

**სელმა.** აქ სავაშო რაა, ჩემო კარგო დედილო!

**სედბერქ-ხანუმ.** აი ხომ ხედავ, ჩემო გოგონა! „დღევანდლამდე ვერაფერი შევიძელი. დღეის აქეთაც ვერაფერს გავაკეთებო“, უთქვამს.

**სელმა.** მერე, აქ რა არის მოსაწონი?

**სედბერქ ხანუმ.** ღმერთო ჩემო... დღეს თქვენ რაღაც მოგსვლიათ. საქმის ასე უცბად გადაჭრა, ადვილია მერე? მე ფაშას ერთ საქმეზე ორმოც და ათჯერ ვეტყვი და „ვნახოთ, მოვიფიქრეთ; შემდეგში რაღაცას მივაგვარებთო“, მეტყვის, საქმეს გააჭიანურებს.

**სელმა.** ის, სხვაა; ეს, სხვაა.

**სედბერქ-ხანუმ.** დიახ ეგრე ჩემო ვარდო. რაცა გსურთ ის სხვაა, რაც არ გსურთ ის კიდევ სხვაა.

**სელმა.** მართლა, ჩემო დედილო! შენ კაცს გააგიჟებ.

**სედბერქ-ხანუმ.** ბარემ მოვკვდე და ყველანი მოისვენებთ (ტირილს დაიწყებს).

(შემდეგი იქნება).

მემედ აზაშიძე.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ბარონის ქუჩა. სტამბა „ნადეჟდა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.